ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოს მთიან რეგიონებში - კლიმატგონივრული ტექნოლოგიების პერსპექტივა

კობა არაბული

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (SEU)

k.arabuli@seu.edu.ge

მალხაზ ღვინჯილია

გეოგრაფიის დოქტორი, ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (SEU)

m.ghvinjilia@seu.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოს მთიანი რეგიონები – როგორიცაა სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი და სხვა – გამორჩეულია ბუნებრივი სილამაზით, ეკოსისტემური მრავალფეროვნებით, უნიკალური ლანდშაფტებითა და კულტურული მემკვიდრეობით. ამ ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი განსაკუთრებით მაღალია, თუმცა ამავე დროს ისინი ექვემდებარებიან კლიმატური ცვლილებების მძლავრ გავლენას – რაც მოითხოვს ახალ, მდგრად და გრძელვადიან მიდგომებს ტურიზმის განვითარებისთვის.

კლიმატგონივრული ტექნოლოგიები გვთავაზობენ სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და კლიმატისადმი ადაპტაციას, ბუნებრივი რესურსების გონივრულ მართვას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვას. ეს ტექნოლოგიები მოიცავს:

- განახლებადი ენერგიის წყაროების (მზის, ქარის, მცირე ჰიდრო და ბიომასის) გამოყენებას, რაც ამცირებს დამოკიდებულებას ფოსილურ საწვავებზე და ამცირებს სათბურის გაზების ემისიებს;
- ენერგოეფექტური შენობებისა და ტურისტული ობიექტების (კოტეჯები, თავშესაფარი ქოხები) მშენებლობას, რომლებიც ადაპტირებულია მთის კლიმატთან და უზრუნველყოფს რესურსების რაციონალურ გამოყენებას;
- წყლის რესურსების მართვისა და სანიაღვრე სისტემების გაუმჯობესებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თოვლის დნობისა და მეწყრული ზონების პირობებში;
- ეკო- და აგროტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, რაც ხელს უწყობს ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიკაციას და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის გაძლიერებას. შესაბამისად დაცულ ტერიტორიულ სისტემებში არსებული უნიკალური ბიომრავალფეროვნების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.

ინტელექტუალური სატრანსპორტო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნას, მათ შორის ელექტრომობილების დასატენ მოწყობილობებსა და ციფრულ მარკეტინგულ სისტემებს. არსებულის დანერგვა ეკოგარემოს დაბინძურების მინიმიზაციას უზრუნველყოფს.

კლიმატგონივრული მიდგომების დანერგვა მთიან რეგიონებში ხელს შეუწყობს:

- ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას – მთიანი რეგიონები გახდებიან მიმზიდველები წლის ნებისმიერ დროს;
- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას – ტურიზმი იმუშავებს გარემოსთან ჰარმონიაში და არა მის ხარჯზე;
- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობასა და ეკონომიკურ გაძლიერებას – მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერებას;

საქართველოს, როგორც მწვანე და კლიმატზე ზრუნვის მქონე ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაძლიერებას – რაც გაზრდის ტურიზმის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალს.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, კლიმატგონივრული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას აქვს სერიოზული გამოწვევები, მათ შორის ფინანსური რესურსების დეფიციტი, დაბალი ცნობადობა ტექნოლოგიების შესახებ, ინფრასტრუქტურის არარსებობა და ზოგიერთ შემთხვევაში გეოგრაფიული ხელმიუწვდომლობა. ამ პრობლემების დასაძლევად აუცილებელია სახელმწიფო, კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების კოორდინირებული მოქმედება, რაც ითვალისწინებს:

- კლიმატგონივრული საშუალებების მიზნობრივ სტრატეგიულ დაგეგმვას რეგიონულ დონეზე;
- ბიზნეს სექტორისათვის საინტერესო საინვესტიციო სტიმულების სისტემას;
- ეკომეგობრული გარემოს, ცოდნის და ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეწყობას.

დასკვნის სახით, ტურიზმის კლიმატგონივრული განვითარება საქართველოს მთიან რეგიონებში წარმოადგენს არა მხოლოდ აუცილებლობას კლიმატური რეალობის გათვალისწინებით, არამედ მნიშვნელოვან შესაძლებლობას — შექმნას მაღალი ღირებულების, მდგრადი და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ტურიზმის მოდელი, რომელიც დადებითად იმოქმედებს როგორც გარემოზე, ისე ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.

საკვანძო სიტყვები: მთა, ტურიზმი, კლიმატგონივრული, მდგრადი, სტრატეგია

JEL: Q56; L83; Q54

DOI: 10.52244/c2025.28

1. შესავალი

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ოდითგანვე ცივილი-ზაციების გზაგასაყარზე მდგომი ქვეყანა იყო. მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ყურადღების ცენტრში იგი თითქმის სამი ათეული საუკუნეა მოქცეული. ინტერესი ამ სახელმწიფოს მიმართ

ჯერაც აქტუალურია. ყველა კარგად ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო შექმნილ მდგომარეობას. შესაძლებელია სხადასხვაგვარად ვაფასებთ გამომწვევ მიზეზებს, დამდგარ შედეგებს, თუმცა ზოგი რამ დღესავით ნათელია - როგორც სახელმწიფოს ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ასევე დღესაც, ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობა სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირების საგანია და ამ პროცესში ერთდროულად არიან ჩართულნი აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი და სამხრეთ აზიის წარმომადგენლები (ირანი, ინდოეთი, თურქეთი), თუ გნებავთ ჩვენი მეზობლები - აზერბაიჯანი და სომხეთი. კარგად ჩანს ისიც, რომ როგორი სახის სათანამშრომლო დოკუმენტებიც არ უნდა ფორმდებოდეს, ყველა მათგანისათვის უმთავრესი საკუთარი ინტერესებია. ასე იყო, ასე არის და ალბათ ასე იქნება მომავალშიც.

რაც შეეხება ეკონომიკას, ისიც ზემოთ აღნიშნული პოლიტიკის ადეკვატურია - ვისაც ახსოვს, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-ან წლებში დიდი ენთუზიაზმით მუშავდებოდა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი (TRASECA); ახლა ავიღოთ დღევანდელი რეალობა - „დიდი აბრეშუმის გზა“, „ერთი სარტყელი - ერთი გზა“, პრინციპული სიახლე ძირითადი მოთამაშეების რანჟირების სქემაშია, შინაარსი, მიზანი იგივეა. ჩვენი ფუნქცია და როლიც იგივეა - ევრაზიული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოძრაობისათვის ყველაზე ხელსაყრელი „დერეფანი“ (მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, შეიძლება ამ სქემაში ჩართული აღმოჩნდეს მეზობელი სომხეთიც, რომელიც დღეს მზად არის დაივიწყოს გენოციდიც, ყარაბახიც და ა.შ.). აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა, სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა მასშტაბურმა სამხედრო ოპერაციებმა და უმწვავესმა დაპირისპირებებმა, რომლებშიც ერთნაირად არიან ჩართულნი ისრაელი, პალესტინა, სირია, ირანი, თურქეთი და რუსეთიც, მშვიდობიანი „ევროაზიური დერეფნის“ საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

შესაძლებელია დაისვას კითხვა - ეს ყველაფერი კი, მაგრამ ქვეყნის მთიანი რეგიონები რა შუაშია? პასუხად კი მარტო ის გამოდგება, რომ მთიანეთი ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის 2/3-ზე მეტია, სახელმწიფოს თითქმის მთელ პერიმეტრზე მისი საზღვარია; უკანასკნელი 5-6 ათწლეულის მანძილზე გატარებული მცდარი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე დღემდე დაუსრულებელი მიგრაციის შედეგად, მკვიდრი მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. კონკრეტულ რეალობას 2026 წელს, ქვეყანაში ჩატარებული საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების გაცნობისას ვნახავთ; თუმცა ჩვენ დარწმუნებული ვართ, მდგომარეობა აღნიშნული კუთხით კიდევ უფრო მწვავე იქნება, თუკი მიგრაციის მაჩვენებლებთან ერთად, კომპლექსურად განვიხილავთ ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებლებსაც.

აქვე მოკლედ სახელმწიფოს მთიან რეგიონებთან მიმართებაში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებს კარგად ახსოვთ წინა საუკუნის 60-ანი წლების პოლიტიკა, რომელიც, ხატოვნად, იმდროინდელი ფილმის სათაურით შეგვიძლია გამოვხატოთ - „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. შემდეგ იყო არაერთი ვარიანტი პოზიციისა „მთას დაუბრუნდა მთიელი“, თუმცა რეალური დღევანდელობა იმის დასტურია, რომ არც ისინი ჩამოსულან თავისი ნებით მთიდან და არც დაბრუნებიან. გასული საუკუნის 60-ან წლებში, საქართველოს მთიანი რეგიონებიდან მკვიდრი მოსახლეობის იძულებით გამოსახლებით, ქვეყნის სოციალურ სხეულზე გახსნილი მძიმე ჭრილობა დღემდე მოუშუშებელია; ყოველ შემთხვევაში მთა მენტალურად კვლავ რჩება ე.წ. „დეპრესიულ რეგიონად“ და დღემდე ვერ შევაჩერეთ მიგრაცია. მიგრაციას იმიტომ გამოვყოფთ განსაკუთრებით, რომ ის ერთნაირად მიზეზიც არის და შედეგიც, რაც ასევე იძლევა სერიოზული ანალიზის საშუალებას.

ჩვენი განსაკუთრებული ახსნა ალბათ არ სჭირდება იმასაც, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენს სამშობლოში და მის ირგვლივ, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური თვალთახედვით, ასევე და შეიძლება უფრო მძაფრად - ეკოლოგიური პოზიციიდან. ის, რის შესახებაც, ცალკეული მეცნიერები, მოსაზრებების სახით, გამოთქვამდნენ ათეული წლების წინ, დღეს საყოველთაო განხილვებისა და საერთაშორისო დისკუსიების საგანია. თუ გავეცნობით გარემოს შეფასებისა და მისი დაცვის საკითხებზე გამართულ, უკანასკნელი პერიოდის მსოფლიო სამიტების (გლაზგო-2022, კაირო-2023) მასალებს, ყველასთვის გასაგები გახდება ობიექტური რეალობის სიმწვავე. უკანასკნელი წლების განმავლობაში, თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, განვითარებულმა ეკოლოგიური ხასიათის კატასტროფებმა (გამანადგურებელი შტორმები, ნალექების (განსაკუთრებით სეტყვა) არნახული ოდენობა, თანამდევი მეწყერული და ღვარცოფული მოვლენებით) ევროპისა და ამერიკის, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის და, როგორც არ უნდა საკვირველი იყოს, არაბეთის ნახევარკუნძულისა და საჰარის ცალკეულ რეგიონებში, უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური ზიანი და ადამიანური მსხვერპლი მოიტანეს; გამანადგურებელი ხანძრები კანადაში, აშშ-ში, რუსეთში, ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით - პორტუგალია, ესპანეთი, სამხრეთ საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, კვიპროსი) ძალზე მძიმე შედეგები მოუტანა როგორც სახელმწიფოებს, ასევე და უპირველესად - მის მოსახლეობას. ამ დროს სიტუაცია ჩვენი ქვეყნის შიგნით, როგორც სახელმწიფოს, ასევე მოსახლეობის საერთო პოზიციიდან, აღნიშნული მიმართულებით, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურია.

ჩვენი აზრით ძალიან კარგია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ძალიან სერიოზული განცხადებები გაკეთდა, მაგრამ ამ განცხადებების იქით რეალური გეგმები, პროგრამები, კონცეფციები თუ არ დალაგდა, თანაც ჭეშმარიტ კონკურენტულ გარემოში, თუ სახელმწიფოს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა შესაბამისად არ გადავახალისეთ, თუ ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქემდე არ მივიტანეთ, მათთვის გასაგებ ენაზე, სახელმწიფოს დღევანდელი მიზნები და ამოცანები, თუ არ გავითავისეთ, რომ დღევანდელ სიტუაციაში ქვეყნის წარმატება სახელმწიფოსა და საზოგადოების ნდობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობაზე უნდა იყოს აგებული, ვფიქრობთ შესაბამისი შედეგი არ გვექნება.

„სირაქლემას პოზაში“ თუ არ ვდგევართ, კარგად უნდა ვხედავდეთ, რომ დღევანდელი მსოფლიო თუ ევროპული პოლიტიკა საყოველთაო მშვიდობისა და მეგობრობისაკენ ძალზე ნაკლებად მიდის: საკმაოდ კომპეტენტურად საუბრობენ ჩვენი პლანეტის გადარჩენის აუცილებლობაზე და პარალელურად შეიარაღების გაზრდაზე, დაპირისპირებაზე, ტერიტორიების გადანაწილებაზე „ზრუნვა“ არ მთავრდება; დღესაც „ძლიერებს“ უნდათ უფრო მეტი და ნაკლებად აწუხებთ შედარებით სუსტების პოზიცია. ერთი სიტყვით, როგორც შორს ვიყავით „ჭეშმარიტი ცივილიზაციის“ სტატუსიდან წინა საუკუნეში, ისევე შორსა ვართ დღესაც. ამ ფონზე საქართველოს მსგავსი უნიკალური, მაგრამ მცირე ზომის (ტერიტორია, მოსახლეობა) ქვეყნების გადარჩენა - როგორც გეო-პოლიტიკური, ასევე ბუნებრივი პროცესებისაგან, ძალზე სერიოზული ამოცანაა და გვჯერა, სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ერთიანობის გარეშე ეს შეუძლებელია.

მნიშვნელოვანია გავეცნოთ საქართველოს მთიან რეგიონებსა და მათთან მიმართებაში გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკას. როგორც ცნობილია, ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკა არის ქვეყნის მმართველობისა და მისი მოქალაქეების ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის მიზნით, სახელმწიფოს მიერ მიღებული და განხორციელებული სტრატეგიები, გადაწყვეტილებები და

აქტივობები. ისინი მოიცავს სხვადასხვა სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა, სოციალური სერვისები, განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება და სხვა. სახელმწიფო პოლიტიკის არსი ქვეყანაში მიმდინარე საკითხებზე მთავრობის ხედვაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა დააკავშირებული მოქალაქეთა კეთილდღეობა და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთთან.

სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყნის არსებობისათვის აუცილებელ ძირითად კომპონენტებს მოიცავს. ისეთი ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, მთიან რეგიონებთან მიმართებაში გასატარებელი პოლიტიკაც ერთ-ერთი მათგანია. რეგიონებთან, სადაც ერთმანეთზეა გადა-ჯაჭვული ბუნებრივი, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, პოლიტი-კური და ზოგადად უსაფრთხოების საკითხები, გამომდინარე მოწყვლადობის მაღალი ხარის-ხიდან.

მრავალ სხვადასხვა სიკეთესთან ერთად, რაც მთიან ტერიტორიებს ზოგადად ახასიათებს მთელ მსოფლიოში, განუზომელია მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, ისეთი ბიზნესისათვის, როგორიც არის ტურიზმი. მას საქართველოში, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველგან, აქვს უდიდესი ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობა. ხაზგასასმელია ის გარემო-ებაც, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, ტურიზმი, საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის, ლამის ერთადერთი მიმართულებაა, რომელსაც დღესაც და უახლოეს მომა-ვალშიც (5-10 წელი) ძნელია ტოლფასოვანი კოპკურენტი გამოუჩნდეს.

დღევანდელი საქართველოს ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორიების, როგორებიცაა სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ხევი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთის მომავალი ტურისტული ინდუსტრიის განვითარების რეალურ პერსპექტივებზე და ამ პერსპექტივების კვალიფიციურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება რესურსულ პოტენციალს, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ის მრავალფეროვანი და საკმაოდ მაღალხარისხიანია. მხედველობაში გვაქვს დიდი და მცირე კავკასიონის ქედებისა და მწვერვალების, მყინვარების ბუნებრივი სილამაზე, მაღალი ვერტიკალური ზონალობა, მკვეთრი ბუნებრივი კონტრასტები, შედარებით მცირე ტერიტორიებზე კლიმატო-ბალნეოლოგიური რესურსების დიდი მრავალფეროვნება, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლები (ჩაჟაში - უშგულის თემის ცენტრი სვანეთში, იუნესკოშია დაცული), უზარმაზარი ენერგეტიკული პოტენციალისა და ანალოგიური ტურისტული ღირებულების მქონე ჰიდროგრაფიული ქსელი - მთის მდინარეები, ბუნებრივი ჩანჩქერები, ტბები, უნიკალური ფლორა, ფაუნა და იხტიო ფაუნა, წითელ წიგნში შეტანილი ენდემური ჯიშებით, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეების მთელი აფთიაქი და მათი გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ცოცხალი ტრადიცია და კიდევ ბევრი სხვა. მაღალი ღირებულებების მქონეა ცოცხალი ადამიანები - მთაში ლეგენდებად დარჩენილი ისტორიები თუ ცოცხალი ისტორიული პიროვნებები, რომლებზეც ლეგენდები ახლა ყალიბდება; ადამიანები, რომელთა გარეშე ეს მთები წარმოუდგენელია და ადამიანთა ეთნო ჯგუფები, რომლებსაც როგორც ერთიანი ქართული, ასევე ლოკალური (თემის) ტრადიცია და კულტურა, ფოლკლორი, ტანსაცმელი, სამზარეულო დღემდე აქვთ შემონახული და სწორედ ამით უნიკალურ და უდიდეს ტურისტულ ღირებულებას წარმოადგენენ.

მთიანი რეგიონების კიდევ ერთი უზარმაზარი ტურისტული ფასეულობაა დაცული ტერიტორიები. საქართველოში დღეისათვის მოქმედი 14 სახელმწიფო ნაკრძალიდან 12 მთიან რეგიონებშია, 15 ეროვნული პარკიდან 10 მთიან რეგიონებშია, 41 ბუნების ძეგლიდან 11, 24 აღკვეთილიდან 12 ასევე მთიანი რეგიონებია, 4 დაცული ლანდშაფტიდან ოთხივე მთაშია. მოკლე

ხანში ამ საერთო ოდენობას შეემატება რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ეროვნული პარკი და მათი საერთო ფართობი ლამის ქვეყნის ტერიტორიის 12-13%-ს გაუტოლდება.[1]

ამ უზარმაზარ პოზიტიურ პოტენციალს ძალზე მწვავე, ნეგატიურ ტვირთად აწევს პრობლემები (მიგრაცია, დემოგრაფიული სურათი, ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური ადგილობრივი კადრები და ა.შ.), რომელთა გამოვლენა, ანალიზი და სიტუაციის გასაუმჯობესებლად კონკრეტული მიზნობრივი ქმედებების განხორციელებისათვის რეკომენდაციების შემუშავება (თუ მთლად აღმოფხვრა ვერა) წინამდებარე ნაშრომის მოკრძალებული ამოცანაც არის.

უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში გაწეული სამეცნიერო-მეთოდური და პედაგოგიური პრაქტიკა უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ სწორედ ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის მრავალფეროვან, მაღალკვალიფიციურ და მაღალრენ-ტაბელურ გამოყენებაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის 2/3-ის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. მართებულია დაისვას კითხვა - რატომ ტურიზმი? ან - მხოლოდ ტურიზმი?

აღნიშნულ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემისათვის აუცილებელია ნათლად გავიაზროთ რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმი, რა განაპირობებს მის ნაირფეროვნებას, რა არის დღეისათვის (და უახლოეს მომავალშიც) ტურისტული მოტივაციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები და შემდეგ, არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული ვარიანტები „გადავაფინოთ“ საქართველოს მთიანეთის ცალკეულ რაიონებს.

როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე ტურიზმზე მხედველობაში გვაქვს გარემოებათა გარკვეული ჩამონათვალი:

- ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და ციფრული ტურიზმი;
- მდგრადი და კლიმატგონივრული ტურიზმის ზრდა;
- ალტერნატიული და თემატური ტურიზმის გაფართოება;
- განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერება.

ამასთან ერთად ვითვალისწინებთ ისეთ ნეგატიურ გარემოებებსაც, რომლებსაც დღეისათვის შეუძლიათ დიამეტრალურად შეცვალონ არა მხოლოდ ტურიზმის, არამედ მთლიანად ჩვენი პლანეტის მომავალი. მხედველობაში გვაქვს:

- კლიმატის ცვლილება და გარემოზე ზეწოლა;
- მასობრივი ტურიზმის უარყოფითი სოციალური შედეგები;
- ეკონომიკური რყევები და გლობალური კრიზისები;
- ტექნოლოგიური რობოტიზაცია და დასაქმების საფრთხე;
- გეოპოლიტიკური საფრთხეები და საერთაშორისო ტურიზმი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა და პოზიციების შეჯერებით წინამდებარე ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: არსებული რეალობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება საქართველოს მთიანეთში თანამედროვე ტურიზმის განვითარებით ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული სიტუაციის მკვეთრი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, გლობალური კლიმატური ცვლილებების ძირითად გამოწვევათა გათვალისწინებით.

[1] www.apa.gov.ge (დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო)

ამასთან ერთად, რამდენადაც ჩვენი თემის ძირითადი ამოცანა, როგორც მინიმუმ, საქართველოს მთიან რეგიონებთან მიმართებაში გასატარებელი კვალიფიციური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და შემდგომ მისი ლოგიკური, ეტაპობრივი რეალიზაციის პროგრამის ჩამოყალიბებისათვის, კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების ჩამოყალიბებაა, სწორედ ამ მიზნით, შევეცდებით, წინამდებარე ნაშრომში სათანადო ადგილი დავუთმოთ როგორც დღევანდელი ადგილობრივი მდგომარეობის/გამოცდილების, ასევე საერთაშორისო გამოცდილების ანალიზსაც, რათა ადგილობრივი რეალობისა და ადექვქტური საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შესაძლებელი გავხადოთ ჩვენი მოკრძალებული მოსაზრებების ჩამოყალიბებაც.

2. ძირითადი ტექსტი

საქართველოს მთავრობამ 2015 წელს მიიღო ახალი კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ (პირველი კანონი მიღებული იყო 1999 წელს); კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოკლე ხანში პრემიერ-მინისტრთან შეიქმნა „მთის ეროვნული საბჭო“, განისაზღვრა და დამტკიცდა შესაბამისი სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტებისა და მაღალმთიან რეგიონებში „მუდმივი მაცხოვრებლების“ სტატუსის მქონე ადამიანთა რაოდენობა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჩამოყალიბდა შესაბამისი სამსახური და მასვე მიება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდი“, განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ ყოველწლიური შესატანის რაოდენობა ფონდში (20 მლნ ლარი). 2015 წლიდან რომ დავთვალოთ, 200 მილიონზე გავდივართ, ალბათ საინტერესოა, რამდენად გავდივართ ადექვატურ შედეგებზე[2].

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, განვლილ პერიოდში, შემუშავდა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 და 2024-2030 წლების სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმები, რომელთა სტრუქტურა და შინაარსი ეტაპიდან ეტაპამდე მეტ-ნაკლებად იხვეწებოდა.[3]

მოკლე რეზიუმეს სახით გვინდა წარმოვადგინოთ ის, თუ რა პრინციპული ცვლილებები გაითვალისწინა (შეთავაზებული კანონპროექტიდან - რამდენადაც მასზეც მიგვიწვდება ხელი, პროფ. კ. არაბული ამ პროცესის კოორდინატორის როლს ასრულებდა იმ დროს) და განსაზღვრა ახალმა (2015 წ.) კანონმა:

– **მაღალმთიანი დასახლება/ტერიტორია** - განისაზღვრა სტატუსი და მისი მინიჭების წესი;

---

[2] https://moi.gov.ge/pdf/673ef5bb050c5.pdf/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf%20download (კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ)

[3] https://moi.gov.ge/pdf/66e007be66b9c.pdf/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%202024-2030%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf („საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 და 2024-2030 წლების სტრატეგია“)

– **მაღალმთიანი დასახლების/ტერიტორიის მკვიდრი მოსახლე** - პირველად განისაზღვრა შესაბამისი სტატუსი და მისი მინიჭების წესი;

– **მთის განვითარების ეროვნული საბჭო** (სახელმწიფო-საზოგადოებრივი სათათბირო ორგანო) - საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა სტატუსი, შემადგენლობის შერჩევის პირობები და უფლებამოსილებები;

– **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია**, პროგრამები და სამოქმედო გეგმები - კანონით განისაზღვრა მათი მიღების აუცილებლობა, მიზანი და ამოცანები;

– **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი -** საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა მისი მიზნები, ამოცანები, შექმნის წესი და საქმიანობის მექანიზმი;

– **სოციალური შეღავათები -** განისაზღვრა მაღალმთიან დასახლებაში სოციალური შეღავათების ფორმები, მიზნობრიობა და ოდენობები;

– **საგადასახადო შეღავათები -** ადგილობრივი ბიზნესის, ინვესტიციების შემოტანის გააქტიურების მიზნით განისაზღვრა მაღალმთიან დასახლებაში განსახორციელებელი საგადასახადო შეღავათები - პრინციპები, ოდენობა.

პირველად დაეთმო ყურადღება მაღალმთიანი ტერიტორიების ეკონომიკური განვითარებისა და ფისკალური შეღავათების საკითხებს:

უმთავრესი აქცენტი თითქოს გაკეთდა არა სოციალური შეღავათებისა და შემწეობების (მანამდე გატარებული „პოლიტიკის“ ძირითადი არსი) სისტემის მოდერნიზაციაზე, არამედ:

1. ეკონომიკური/ბიზნეს აქტივობის, ტრადიციული და ინოვაციური მეურნეობრივი აქტივობის ამაღლებასა და მიზნობრივ განვითარებაზე;

2. მკვიდრი და მომთაბარე მოსახლეობის დასაქმებასა და საქმიანი აქტივობის პროცესის გააქტიურებაზე;

3. ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის საინტერესო ბიზნეს გარმოს შექმნასა და მთიანი რეგიონების უნიკალური ბუნებრივი რესურსების მდგრად/ოპტიმალურ და მიზნობრივ გამოყენებაზე;

საქართველოს მთიანეთში დღევანდელი მდგომარეობის ექსპერტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიტუაცია მკვეთრი უკეთესობისაკენ ჯერ კიდევ ვერ შეიცვალა. ამჟამად მიმდინარე საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგები, ნაწილობრივ, ამ წლის ბოლოს იქნება, ვფიქრობთ დაადასტურებს, რომ მიგრაცია ჯერ კიდევ დაუძლეველი პრობლემაა და თუ კლიმატის გლობალური ცვლილებებიდან გამომდინარე შედეგებსაც გავაანალიზებთ, შესაძლებელია ის ჯერ კიდევ გაიზარდოს. 2015 წლიდან განვლილ პერიოდში ათვისებული სახელმწიფო სახსრების ოდენობის ადექვატურად არ შეცვლილა ინფრასრუქტურის მდგომარეობა და აქ მხოლოდ გზებს არ ვგულისხმობთ. და ალბათ, რაც ყველაზე მთავარია, ვერ ვხედავთ შესაბამის სტატუსმინიჭებული „მთიელებისა“ და გნებავთ „მთის სოფლების“ შეცვლილ მენტალიტეტს (ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად).

მიზეზი. მიზეზი ბევრია და დარწმუნებული ვართ, მათი პირუთვნელი ანალიზი და შემდგომ, საკუთართან ერთად, საერთაშორისო გამოცდილების კვალიფიციური გამოყენება ნამდვილად მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

ერთ სტატიაში, ყველა მიზეზზე და სავარაუდო შესაძლებლობებზე საუბარი შეუძლებელი იქნება, ალბათ არც ჩვენი კვალიფიკაცია იქნება ყველაფრისთვის საკმარისი. ამიტომ შევჩერდებით მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებზე საუბარიც ნამდვილად შეგვიძლია.

დავიწყოთ კანონით (მისი შემუშავების პროცესის კოორდინაცია პროფ. კ. არაბულის მოვალეობაში შედიოდა). გვინდა შევეხოთ რამდენიმე პრინციპულ პოზიციას, რაც, მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების მოშველიების მიუხედავად, კანონპროექტიდან აღარ მოხვდა კანონში; ან მოხვდა, მაგრამ მისი რეალიზაცია არასწორად წარიმართა:

• ტერმინი **„მთიანი ტერიტორია“** კანონით განსაზღვრული განმარტებაა - 1000 მ-ის ზემოთ ზღვის დონიდან (გამონაკლის შემთხვევაში - 800 მ-დან), ისევე, როგორც ტერმინი - **„მთიანი და მასთან გათანაბრებული ტერიტორიები“** და სხვა - **ამ დროს სტატუსმინიჭებული დასახლებების სიაში არის დასახლებები** (450, ჩვენი დათვლით, სამიათასიდან) **0-500 მეტრის ჰიფსომეტრიულ ზოლში**; საინტერესო ის არის, რომ 2015 წლის შემდეგ, იმის მაგივრად რომ ეს პრინციპული შეცდომა გამოსწორებულიყო, პირიქით გაიზარდა.

• მთიან რეგიონებთან მიმართებაში გასატარებელი, კანონპროექტით გათვალისწინებული, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მესიჯი - **სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკა,** არ იქნა გაზიარებული აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო; ამ დროს, დღეისათვის, არა თუ ჩვენი მსგავსი, არამედ დიდი და მძლავრი სახელმწიფოები (აშშ, ჩინეთი, იაპონია და ა.შ.) საკუთარი ინტერესებისა და შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, სწორედ ამ მეთოდს იყენებენ, რომელსაც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 40-ან წლებში (ფრიდრიხ ლისტი) ჩაეყარა საფუძველი.

• ლოკალურ-მიზნობრივი მართვის ფორმა - **ნდობაზე დაფუძნებული სახელმწიფო-საზოგადოებრივი მმართველობა** – შესაბამისი ქონებრივი უზრუნველყოფის საკითხებთან ერთად არ იქნა მიღებული და **„სანაცვლოდ“, შემოთავაზებულია ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, რომელიც, ჩვენი აზრით, თვითონ არის ბოლომდე გასააზრებელი** (ხშირად მოგვისმენია პოლიტიკური დისკუსიები სამხარეო ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის, კონსტიტუციურობაზე).

• მთიანი და მასთან გათანაბრებული ტერიტორიის „**მკვიდრი**“ მოსახლე (სტატუსის განმარტება დასახვეწია და მინიჭების წესი კარგად გადასახედი); ამიტომ **სახეზე გვყავს სტატუსმიუნიჭებელი „რეალური მთიელები“ და სტატუსიანი „ქალაქელები“;**

• **მთის სააგენტო** (სამთავრობო, უწყებათშორისი საკოორდინაციო სამსახური მთავრობის კანცელარიასთან - დამოუკიდებელი სტრუქტურა) - არ იქნა მიღებული და რეალურად გვაქვს საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსთან (რამდენჯერ შეიცვალა მისი სტატუსიც) არსებული ფონდი, რომლის მიერ შესაბამისი თანხების განკარგვა-განაწილების პრინციპები დღემდე გაუგებარია საქართველოს მთიანი რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის;

• მთიანი და მასთან გათანაბრებული ტერიტორიის **მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა** (რამდენადაც ვიცით, ამ ეტაპზეც, ჯერ კიდევ არ გვაქვს „ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგია“). შესაბამისად გვაქვს 2019-23, 2024-30 წლების „სტრატეგიული“ (აქ ტერმინს მოვიხსენიებთ ბრჭყალებში იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ სტრატეგიული, ჩვენის აზრით, 10-15 და, თუ გნებავთ, 30-50 წლიანი პერსპექტივის დოკუმენტები შეიძლება იყოს) დოკუმენტები, რომელთა მიღება-დამტკიცება, გასული და მიმდინარე რეალიზაცია იმგვარად ხდება, როგორც

ამას საჭიროდ თვლის ხელისუფლება. თვით დოკუმენტების საერთო ორიენტაცია, ძალზე ხშირად, აცდენილია დროსა და სივრცეს.

მიუხედავად კანონის მიღებისა, დღემდე სახეზე გვაქვს სხვა სახის პრობლემებიც:

• დაუსრულებელი სახე მიიღო **დასახლებული პუნქტების სტატუსის მინიჭების პროცესმა**. როგორც ჩანს, ჩვენთან სოფლების ჰიფსომეტრია, ცვალებადი ან გაუგებარი განზომილებაა;

• ადგილობრივი მოსახლეობისათვის დღემდე უცნობია „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ ფინანსური სახსრების განკარგვის წესი;

• გვაქვს კითხვები „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს“ შემადგენლობასთან დაკავ-შირებითაც. საბჭოში, სადაც 40-ზე მეტი წევრია, „საზოგადოების“ წარმომადგენელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მთიანი რეგიონების პრობლემების კვლევის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ავთანდილ არაბულია, დანარჩენი - მოქმედი ჩინოვნიკები.

დამოუკიდებელი საქართველოს მოკლე ისტორიის პერიოდში, ხელისუფლების აქტივობის და ჩვენი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა გვქონდა სხვადასხვა პერიოდში საფუძვლიანად გავცნობოდით მთიანეთთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის ისტორიას, მიმდინარეობასა და შედეგებს შოტლანდიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში (ამ ქვეყნებში მიზნობრივი ვიზიტების საფუძველზე). ამასთან ერთად, სახელმწიფოსთან მთიანი რეგიონების კანონმდებლობის შემუშავების პროცესში თანამშრომლობისას (პროფ. კ. არაბული) და შემდგომ პედაგოგიური საქმიანობისას, შესაძლებლობა გვქონდა შეგვესწავლა სხვადასხვა კონტინენტების სახელმწიფოების მიერ შესაბამის მთიან რეგიონებთან გატარებული თუ მიმდინარე პროგრამები და პროექტები.

აღნიშნულის საფუძველზე გვინდა გამოვკვეთო, ჩვენი აზრით, რამოდენიმე მნიშვნელოვანი პოზიცია:

1. ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით 1992 წლის შემდეგ (რიო-92, გაეროს მსოფლიო სამიტის გადაწყვეტილება „დღის წესრიგი 21-ე საუკუნისათვის“, საქართველო მიერთებულია ამ პროცესს), **„სახელმწიფოს მდგრადი განვითარების სტრატეგიის“ (10-15-20 წელი) საფუძველზე,** შემუშავებული აქვს:

– **სახელმწიფოს მოწყობისა და მართვის ადექვატური სისტემა და სტრუქტურული ვერტიკალი** (ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ თვითმმართველობამდე - სხვადასხვა ვარიანტებია 3-4-5 საფეხურიანი); თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენი პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის როლისა და ადგილის არასწორი გაგებიდანაც იწყება.

– **სახელმწიფოს სივრცითი განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელ-შემმუშავებელი ინსტიტუციონალური სისტემა და სივრცითი დაგეგმარების შესაბამისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ინსტიტუტები;**

(მაგ. ავსტრიაში - ადგილობრივი, რეგიონული და ფედერალური მთავრობების საკოორდინაციო და საინფორმაციო პლატფორმა - კონფერენცია (OROK); შვეიცარიაში - მთიანი რეგიონების შვეიცარიის ცენტრი (SAB); შოტლანდიაში - მთიანი და კუნძულოვანი მხარის მართვის ორგანიზაცია (HIE));

ხშირ შემთხვევაში მოქმედებს **რეგიონული განვითარების დამოუკიდებელი ინსტიტუტები (მაგ. ავსტრია - ეროვნული საბჭო)**

– **ქვეყნის მთიან ტერიტორიებთან** (როგორც კონკრეტულ სპეციფიკურ რეგიონთან) **მიმართებაში გასატარებელი პოლიტიკა** (განსაზღვრულია ნაციონალური/ფედერალური, რეგიონული და ადგილობრივი დონის: მუნიციპალიტეტი - თემი - სოფელი - ამოცანები, უფლებები და კომპეტენციები);

– **აღნიშნული პოლიტიკის საფუძველზე დამუშავებულია „ქვეყნის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგია“,** რომლებსაც საფუძვლად უდევს არა მარტო სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე შექმნილი ისეთი კომპლექსური პროგრამები, როგორებიცაა **„ალპების დაცვის კონვენცია“** (ცენტრალური ევროპა - გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, იტალია, სლოვენია, ლიხტენშტეინი, მონაკო - 5 867 მუნიციპალიტეტით) და **„კარპატების დაცვის ჩარჩო-კონვენცია“** (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა - ჩეხეთი, უნგრეთი პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, მონტენეგრო, სლოვაკეთი, უკრაინა)[4].

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ **მოხსენიებული სტრატეგიები მოიცავენ:** შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების განვითარების **ხანგრძლივვადიან, ეტაპობრივ, ლოგიკურ, დინამიურად მზარდ, შესაბამისი პერიოდების ობიექტურ რეალობაზე მორგებულ, არგუმენტირებულ, მეცნიერულ და ზუსტ სტატისტიკურ საფუძველზე დაყრდნობილ, ადგილობრივი მოსახლეობის აუცილებელი (ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით!) ჩართულობით შემუშავებულ** პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებს (მოკლევადიანი/ოპერატიული), **მათი რეალიზაციის მონიტორინგის სერიოზული სისტემით.** უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მონიტორინგის სისტემა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესში ჩართული სახელმწიფო სისტემის ნებისმიერი დონის კონკრეტულ პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოს დროულობასა და ხარისხზე.

იბადება კითხვა - დღევანდელი შვეიცარიის, ავსტრიის, შოტლანდიისა თუ ნებისმიერი სხვა, წარმატებული, ქვეყნის გამოცდილება შეგვიძლია თუ არა „ავიღოთ და პირდაპირ გადმოვნერგოთ“ დღვანდელ ქართულ რეალობაში (რის მცდელობებსაც საკმაოდ ხშირად ვისმენთ, მათ შორის არა მხოლოდ პოლიტიკოსების, არამედ კოლეგა სპეციალისტების მხრიდან)? მიგვაჩნია, რომ - არა! და ამას თავისი მიზეზები აქვს. ვფიქრობთ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ამ ქვეყნების გამოცდილების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა და იმ რაციონალური ელემენტების „ამოკრეფა“, რომელთა მიზნობრივი რეალიზაცია სასარგებლო იქნება ჩვენი მთიანეთისათვის.

ამ მიმართულებით ფიქრის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა:

– **შოტლანდია:** გაგვეანალიზებინა გამოცდილება ნდობაზე დაფუძნებული სახელმწიფო-საზოგადოებრივი მმართველობის სისტემის ფორმირებისა შოტლანდიის მთიან და კუნძულოვან ტერიტორიაზე (ქვეყნის ტერიტორიის 2/3 - როგორც ჩვენთან). მითუმეტეს, რომ თანამმართველობის ეს ფორმა დიდი ხანია ცნობილია არა მარტო ევროპული სივრცისათვის, არსებობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის შესაბამისი მიმართულებების განვითარების უაღრესად საინტერესო გამოცდილება (შოტლანდიის მასალებთან ერთად, ჩვენ შევისწავლეთ ამ თემაზე 2005 წელს ჩატარებული იუნესკოს მსოფლიო სამიტის (პროფ. კ. არაბული მონაწილეობდა) მასალებიც);

[4] info@alpconv.org; Framework_Convention_on_the_Protection_and_Sustainable_Development_of_the_Carpathians

– **ავსტრია:** საფუძვლიანად შეგვესწავლა ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

ა. კომპლექსური სახელმწიფო სისტემის თანამშრომლობითი რეგიონული პოლიტიკა (დეცენტრალიზებული სისტემა, ძირითადი მოთამაშეები ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, ინსტიტუციონალური თანამშრომლობა და მისი ინსტიტუციური ელემენტები, მაგ.: ავსტრიის კონფერენცია);

ბ. ავსტრიის რეგიონული და სოფლის განვითარების პროგრამები, მათი პრიორიტეტები და თანამშრომლობის სისტემები - ალპური (მაღალმთიანი) სოფლის განვითარების ფილოსოფია და სახელმწიფო პოლიტიკა;

გ. მთის პოლიტიკა ავსტრიაში - პოლიტიკის ფარგლები/მასშტაბი და პრიორიტეტები (მითუ-მეტეს, რომ ჩვენ დღეს შვეიცარიის ვარიანტების გადმოღებას ვერ შევძლებთ - დიდი თანხებია საჭირო!);

– დ. ავსტრიის რეგიონული განვითარების დამოუკიდებელი ეროვნული საბჭო - სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები, საქმიანობის სფეროები და მასშტაბები;

– ე. გამოცდილება რეგიონის სივრცითი დაგეგმარებისა და რეგიონული პოლიტიკის კუთხით პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეებს შორის ღონისძიებათა კოორდინაციის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების შესახებ, ამ ინსტიტუციის თემატურ-მიზნობრივი საქმიანობის გამოცდილების გათვალისწინებით. [5]

– **შვეიცარია:** გაგვეანალიზებინა გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის წარმოების, კომპენსაციების გამოყოფისა და მართვის სამართლებრივ სისტემაზე, რეგიონული უთანასწორობის, ეროვნული ფინანსური გამოთანაბრებისა და მთიანი რეგიონების ლობირების სისტემებზე და ა.შ. ასევე „შვეიცარიის ეროვნული პოლიტიკა და სოფლის მდგრადი განვითა-რების სისტემა (ინსტრუმენტები)“ და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა შვეიცარიის კონფედერაციაში“.

ცალკე უნდა გამოვყოთ უკვე აღნიშნული და სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის აუცილებლობა ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა:

– კლიმატგონივრული და მწვანე ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა;

– ე.წ. ჭკვიანი და მდგრადი ქალაქებისა და სოფლების კონცეფციები და ა.შ.

– ეკოსისტემის გადატვირთვა, სეზონურობა და არათანაბარი დატვირთვები;

– სოციალური პრობლემები, კულტურული ავთენტურობის დაკარგვის საფრთხე და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ტურიზმის მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ განვითარებას შეუძლია საფუძვლიანად შეცვალოს საქართველოს მთიანეთში არსებული სოციალური სურათი და ხელი შეუწყოს, პირველ რიგში, მიგრაციის პროცესის შეჩერებას, ხოლო შემდეგ უკუმიგრაციის დაწყებას. მითუმეტეს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში, ქვეყნის ყველა ფორმაციის ხელისუფლება, მიუხედავად მათი ხედვებისა და

[5] https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bbergg/
Austrian Federal Ministry for Agriculture, Regions and Tourism;
Selected academic: Bätzing W. (2015). *The Alps: Human Geography*; research articles on vocational education (apprenticeship models) in Austria

პოზიციების განსხვავებულობისა, ცალსახად აღნიშნავდა, რომ ტურიზმი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო.

თუ დავუბრუნდებით რიტორიკულ კითხვას - რატომ ტურიზმი? ვთვლით, რომ პასუხის გაცემა ამ დარგის არცერთ სპეციალისტს არ გაუჭირდება. თუმცა მოკლედ მაინც დავაკონკრეტებთ.

ტურიზმი იმიტომ, რომ ზოგადად მთიანი რეგიონების განვითარების საქმეში დღეისათვის ძალზე მასშტაბურია მისი წვლილი, რასაც კარგად გვიჩვენებს საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა. ტურიზმი კლასტერული ბუნების თანამედროვე ბიზნესია, რომელიც ხელს უწყობს:

- **რეგიონების ეკონომიკურ სარგებლიანობას** - ტურიზმი საკმაოდ ხშირად არის ერთადერთი სექტორი, როგორც დღევანდელი საქართველოს რეალობაშიც, რომელსაც შეუძლია მთიან რეგიონებში შემოსავლებისა და დასაქმების გენერირება. მცირე სასტუმროები, ბინა სასტუმროები, საპიკნიკე ადგილების ორგანიზება, საოჯახო ბიზნესი და მის საფუძველზე განვითარებული ადგილობრივი პროდუქტების, ადგილობრივი სამზარეულოს უნიკალობის რეალიზაცია, ადგილობრივი ტრადიციული ხელსაქმის საფუძველზე შექმნილი უნიკალური სუვენირები (ქსოვა, ქარგვა, ხეზე ჭრა, ქვის, რკინის, ხის მხატვრული დამუშავება და ა.შ.), ტურისტულ საქმიანობაში კვალიფიციური ჩართულობა (გიდი-ექსკურსიამძღოლი, სამთო გამყოლი, ინსტრუქტორი და ა.შ.), გადაადგილების ტრადიციული/ეგზოტიკური საშუალებების (მაგ.: ცხენი) ჩართულობით, ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის სერიოზულ სტიმულებს[6]
- **ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას** - ტურიზმის განვითარების პროცესი ობიექტურად მოითხოვს გზების, საინჟინრო კომუნიკაციების, გაზის, ენერგო და წყალ-მომარაგების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანის სისტემების, ინტერნეტ კავშირის, სამედიცინო და სამაშველო სამსახურების სისტემების გამართულობას;
- **კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებას** - მხედველობაში გვაქვს როგორც ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული ჩაჟაში - სვანეთში, ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან მუნიციპალიტეტში), ასევე ადგილობრივი ეთნო-კულტურა (ტრადიციული დღესასწაულები, ადგილობრივი, უნიკალური ჩაცმულობა, სტუმარ-მასპინძლობის განსაკუთრებული კულტურა, ადგილობრივი სამზარეულო, ფოლკლორი - ცეკვა, სიმღერა, ზეპირსიტყვაობა/კაფიობა და ა.შ.), სადაც ბევრი რამ გვაქვს მოსაწესრიგებელი;
- თვითონ **მთის სოფლის,** როგორც ტურისტული პროდუქტის (მონახულება, გაცნობა, დასვენება), განვითარებისა და მოწესრიგების აუცილებელ პროცესს;
- **გარემოს დაცვის** (დაცული ტერიტორიების ყველა შესაძლო ფორმისა და ბუნების დაცვის ადგილობრივი, ისტორიული ტრადიციები), მისი მოვლა-პატრონობისა და უნიკალობისადმი შესაბამისი პატივისცემისა და სიამაყის გრძნობის დანერგვას;
- **სოციალურ ინტეგრაციას** - ტურიზმი აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზდებს ადგილობრივად დასაქმების შესაძლებლობას, რაც დადებითად იმოქმედებს მიგრაციის შემცირების პროცესზე. პარალელურად გაიზრდება შესაბამისი რეგიონების ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე;

---

[6] L.Zeng., R.Y.Man Ly.,J.San. Economic Development and Mountain Tourism Research from 2010 to 2020: Bibliometric Analysis and Science Mapping Approach. 2022

- **კულტურული და ეკოლოგიური თვალსაზრისით** პასუხისმგებლიანი ტურიზმის განვითარებას, რამდენადაც, სწორი მიდგომის შემთხვევაში, ტურიზმი გადაიქცევა კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის დაცვა-გაფრთხილების ინსტრუმენტად.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად არ გვავიწყდება ისიც, რომ ტურიზმის არასწორი, არაგეგმიური განვითარების შემთხვევაში, ადგილი აქვს:

- **ეკოსისტემების გადატვირთვას** - ტურისტული ნაკადების მკვეთრი ზრდა იწვევს ნარჩენების (განსაკუთრებით პლასტიკური)დაგროვებას, წყლის (და არა მხოლოდ) რესურსების დეფიციტს, ნიადაგებისა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას და ა.შ.;
- **სეზონურობასა და დატვირთვების უთანაბრობას** - როცა ზამთრის კურორტების (მაგ.: გუდაური) გარკვეული ნაწილი, „ზედმეტი“ სპეციალიზაციის გამო, ზაფხულში და დანარჩენ პერიოდებში (გაზაფხული, შემოდგომა) რჩება დაუტვირთავი; ანდა ცალკეული, პოპულარული ქალაქებისა და რეგიონების გადატვირთვის ხარჯზე, სხვები რჩებიან დაუტვირთავი;
- **სოციალურ პრობლემებს** - ტურიზმის ზედმეტი კომერციალიზაცია შეიძლება გახდეს ადგილობრივ უძრავ ქონებაზე ფასების იმგვარი ზრდის საფუძველი, რომლებსაც ვერ შესწვდება ადგილობრივების შესაძლებლობები და ამის გამო იძულებული გახდებიან შეუერთდნენ მიგრანტების რიცხვს, რაც, ჩვენს რეალობაში, მთის სოფლების მკვიდრი მოსახლეობიდან დაცლის პროცესს შეუწყობს ხელს. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი პრეცედენტები ბარში (თბილისი, სიღნაღი, მცხეთა) უკვე გვაქვს სახეზე;
- **კულტურული ავთენტურობის დაკარგვას** - ტურისტების მოთხოვნებზე „მორგებულმა“ მასობრივმა კომერციალიზაციამ შეიძლება შეცვალოს ტრადიციები და გააყალბოს „ადგილობრივი კულტურის“ იმიჯი.
- **დამოკიდებულებას ერთ სექტორზე** - ტურიზმის ზედმეტად გაზრდილი წილი ეკონომიკაში იწვევს მოწყვლადობას როგორც გარე, ასევე შიდა შოკების (პანდემია, გეოპოლიტიკური კრიზისები, კლიმატური კატასტროფები და ა.შ.) მიმართ.

სპეციფიკურად მთიანი ქვეყნების დღევანდელი რეალობის დემონსტრირების მიზნით ჩვენს მიერ, ზემოთ უკვე აღნიშნულ ქვეყნებთან (ავსტრია, შვეიცარია, შოტლანდია) ერთად, გაანალიზებული იქნა, ისეთი სახელმწიფოების გამოცდილება, როგორებიცაა ესპანეთი, ნეპალი, ახალი ზელანდია და ჩილე, რომლებსაც, ამ ქვეყნებთან ერთად, აერთიანებს მრავალფეროვანი ბუნება, მდიდარი კულტურა და მაღალი ტურისტული პოტენციალი. მიუხედავად განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონეებისა, ყველა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებული მთიანი ტურიზმი ძირითადად დამოკიდებულია:

- გარემოსდაცვით სტანდარტებზე;
- პროფესიული კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამღლების (LLL) სისტემის ეფექტურ საქმიანობაზე;
- უსაფრთხოების სისტემის, ინფრასტრუქტურისა და სეზონების მართვის პროცესის თანმიმდევრულობასა და ხარისხზე;
- კულტურული ინტეგრაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე.

ურთიერთ შედარების პროცესში, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მაჩვენებლების მიხედვით, შემდეგი, საკმაოდ საინტერესო (გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით), სურათი მივიღეთ:

ცხრილი #1

პოზიტიური თვალსაზრისით

ქვეყანა	უნიკალური პოტენციალი	ეკო/კლიმატგონივრული მიდგომები	კულტურული ინტეგრაცია	ინფრასტრუქტურა
ნეპალი	ჰიმალაის მწვერვალები - ევერესტის და ანაპურნას რეგიონი; ბიომრავალფეროვნება; კულტურული მემკვიდრეობა	ეროვნული პარკები, რეგულირებული მარშრუტები; შემოსავლების გენერაცია, ინვესტიციები	ტრადიციული სოფლები, ფესტივალები; კულტურული ინტეგრაცია	სასტუმრო სახლები, გიდები, სეზონური გზები; კონკრეტული პრობლემები - კომუნიკაცია უსაფრთხოება
ახ. ზელანდია	მაღალმთიანი ლანდშაფტი - „სამხრეთის ალპები“, ველური ბუნება, ბიომრავალფეროვნება; კულტურული მემკვიდრეობა;	დაცული ტერიტორიები, ეკოტურიზმი; ინოვაციური სერვისები; მარშრუტების მონიტორინგი, წინასწარი ლიცენზიები	მაორების კულტურული პროგრამები - სრული ინტეგრაცია, ადგილობრივების ჩართულობა	უსაფრთხო გზა - თანამედროვე სისტემა; მაღალი ხარისხის, კვალიფიკაციის მომსახურება
ჩილე	ანდები, ვულკანები - სხვადასხვა კლიმატური ზონები; ბიომრავალფეროვნება; კულტურული მემკვიდრეობა - ნაზკა.	დაცული ტერიტორიები, ეკოტურიზმი; მდგრადი ტურიზმი, სეზონების მართვა; კულტურული ინტეგრაცია	ინდიელთა ტრადიციები; კოლონიური არქიტექტურა, ტრადიციული სოფლები	მთის გზები, ბას - ტურები; ტურისტული ცენტრები, სამედიცინო სერვისები
შვეიცარია	ალპები, ჯურას მთები - მრავალფეროვანი ალპური ლანდშაფტი, მთის ტბები, კომბინირებული კულტურული მემკვიდრეობა; სტაბილური ფინანსური რესურსები	გარემოსდაცვითი სტანდარტები, მწვანე ენერგია, დაცული ტერიტორიების სისტემა; ეკოლოგიური რეგულაციები; სეზონების დივერსიფიკაცია	ტრადიციული ალპური სოფლები - ინდივიდუალური მეურნეობა, ოჯახური ბიზნესი, ფესტივალები	მაღალი ხარისხის მთის საგზაო ინფრასტრუქტურა (ავტო, რკინიგზა), კურორტები, ყველა აუცილებელი სერვისი, რეგულაცია.
ავსტრია	მრავალფეროვანი ალპური ლანდშაფტი; კომბინირებული კულტურული მემკვიდრეობა; სტაბილური ფინანსური რესურსები	დაცული ტერიტორიები, კლიმატგონივრული კურორტები; სეზონების დივერსიფიკაცია; ეკოლოგიური რეგულაციები	კულტურული მემკვიდრეობა, მართვის ინტეგრირებული რეგიონული მოდელები	ტრანსპორტი და ხელმისაწვდომობა; სერვისული ინფრასტრუქტურა; ინტეგრირებული მართვის სისტემა
ესპანეთი	გეოგრაფიული მრავალფეროვნება - პირენეები, სიერა ნევადა; კულტურული მემკვიდრეობა; სპორტულ-ტურისტული პოტენციალი; ბიომრავალფეროვნება	ეკოტურიზმი, ეროვნული პარკები; ზამთრის, ზაფხულის ტურიზმი; კულტურული აღორძინების პროგამები	ისტორიული სოფლები, ტრადიციები, კულტურული აღორძინება - სოფლების აღდგენა	ნაწილობრივ სეზონური; ტურისტული სერვისების სისტემა; მიზნობრივი შეზღუდვები და რეგულაციები

ცხრილი #2

ნეგატიური თვალსაზრისით

ქვეყანა	**სეზონურობა**	**ეკოლოგიური ზეწოლა**	**პროფესიული კადრები**	**უსაფრთხოება/ ინფრასტრუქტურა**
ნეპალი	მაღალი სეზონურობა	ბილიკების ეროზია, ნარჩენების გამოტანის პრობლემა	დეფიციტი, LLL სისტემის ნაკლებობა	გზები და სამედიცინო სერვისი შეზღუდულია
ახ. ზელანდია	სეზონები გაერთიანებულია	მყინვარების დეგრადაცია	მაღალი ხარისხი, რეგულარული ტრენინგი	სარეზერვო გზა დაშორებულ ზონებში
ჩილე	ონცენტრირებული სეზონები	ბუნებრივი რესურსებისგადატვირთვა	ხარისხიანი კადრების არათანაბარი განაწილება	დაშორებული ზონები, ინფრასტრუქტურის შეზღუდვა
შვეიცარია	მაღალ განვითარებული 4 სეზონიანი ინდუსტრია - მაღალი ფასებით	კლიმატის გლობა-ლური ცვლილებები - ალპების მყინვარების ეროზია	მაღალი პროფე-სიონ-ლიზმი	უსაფრთხო გზა, მაღალხარისხიანი ტურისტული სერ-ვისები - მაღალი ღირებულება
ავსტრია	სეზონურობის დისბალანსი	რესურსების გარკვეული დატვირთვა	პროფესიონალი კადრები	მაღალი ხარისხის სერვისები, ზოგჯერ სეზონურობის პრობლემა
ესპანეთი	პირენეებისა და სიერა ნევადას კონცენტრაცია	ეკოლოგიური ზეწოლა ტურისტულ ზონებზე	პროფესიული კადრების დეფიციტი	ინფრასტრუქტურა განვითარების პროცესში

მოცემული კომპარატიული/შედარებითი ანალიზის საბოლოო დასკვნები შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

1. **მთავარი პრიორიტეტია მდგრადი ტურიზმი** - ყველა გამოკვლეული ქვეყანა აჩვენებს, რომ **ეკოტურიზმი** და დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა აუცილებელია როგორც ტურიზმის ხანგრძლივი მდგრადობისთვის, ისე ბუნების დაცვისთვის.
2. **პროფესიული კადრები და LLL (lifelong learning) -** საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ **განათლების და მუდმივი ტრენინგის სისტემა** აუცილებელია მაღალი ხარისხის ტურიზმისთვის.
3. **სეზონების მართვა და ეკონომიკური სტაბილურობა -** წარმატებული ქვეყნები (შვეიცარია, ავსტრია, ახალი ზელანდია) ახერხებენ ზაფხულის და ზამთრის ტურისტული სეზონების **კომპლემენტარულ მართვას**, რაც ზრდის შემოსავლებს და მცირე ბიზნესისთვის სტაბილურობას; ასევე აქტიურად იყენებენ გაზახულსა და შემოდგომას ტურისტების შესაბამისი კონტიგენტისა და ტურიზმის ადექვატური სახეების შეთავაზების საფუძველზე;
4. **კულტურული ინტეგრაცია -** ადგილობრივი ტრადიციების, ხელოვნების და ფესტივალების ჩართვა ტურისტულ პროდუქტში ზრდის ვიზიტორების ინტერესებსა და ტურისტული

პროდუქტის ღირებულებას, ასევე აქტიურად უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის თანაჩართულობის ზრდას.

5. **ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება -** უსაფრთხო გზა, სამედიცინო სერვისი, კომუნიკაცია, საგანგებო სიტუაციების სამსახურები - ეს ყველა ქვეყნის წარმატებული პრაქტიკის ძირითადი კომპონენტია, მითუმეტეს კლიმატის გლობალური ცვლილებებიდან გამოწვეული ბუნებრივი მოვლენების გაუარესების ფონზე.

6. **კლიმატგონივრული და „მწვანე“ მიდგომები -** დაცული ტერიტორიების მართვა, ენერგიის განახლებადი წყაროები, ნარჩენების (განსაკუთრებით პლასტიკური) შემცირება, მდგრადი ინფრასტრუქტურა - ყველა ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს **აუცილებელია ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის**.

7. **გამოწვევები და რისკები (გეოპოლიტიკური კონტექსტი)** საქართველოს მთიანი რეგიონები ძირითადად საზღვარზეა; გეოპოლიტიკური მდგომარეობა (სავარაუდო კონფლიქტები, სხვა საფრთხეები) მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. საერთაშორისო გამოცდილება გვასწავლის: უსაფრთხოების დაგეგმვა, კრიზისული მართვის სტრატეგიები, ტურისტული დაზღვევა და ინფორმაცია ქვეყნისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

– იმისათვის, რომ საერთაშორისო გამოცდილებებზე კიდევ უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას, ცალკეული ქვეყნების ზემოთმოყვანილ კონკრეტულ აქტივობებთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ გარემოს დაცვის საერთო ფონზე მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის კოლექტიურ ფორმებსაც. მხედველობაში გვაქვს მინიმუმ 2 ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა: „ალპების დაცვის კონვენცია“ და „კარპატების დაცვის ჩარჩო კონვენცია“.[7]

ჩვენი აზრით ეს საჭიროა იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიური მუშაობა „კავკასიის დაცვის კონვენციის“ შემუშავებაზე. საქართველოსთან ერთად ამ პროცესში ჩართული იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, რუსეთისა და ირანის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წინამდებარე მასალაში არ გავაგრძელებთ საუბარს ასეთი დოკუმენტის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მნიშნელობაზე, თუმცა ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კლიმატური (და თუ გნებავთ პოლიტიკური) გართულებების დინამიური ზრდის ფონზე, მსგავსი ფორმატის დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობა სულ უფრო აქტუალური ხდება.

ამ დოკუმენტების ძირითადი მოტივები, ამოცანები და სადღეისო აქტივობები გვინდა შევახსენოთ კოლეგებს იმიტომაც, ეს ორი დოკუმენტი მთიან ტერიტორიებთან დაკავშირებული სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის საფუძველი და, გარკვეული გაგებით, უნიკალური მასალაა;

იმიტომ, რომ ორივე დოკუმენტში მთიანი რეგიონების ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა (საკითხის სოციალური მხარე), არამედ ყველაფერი, რაც მთასთან არის დაკავშირებული, თავისი ფლორა-ფაუნითა და იხტიოფაუნით, ყველაფერი იმით, რასაც წარმოადგენს ცოცხალი და შესაბამისად დაცული მთათა სისტემა - მისი „ცხოვრების წესით“.

„ალპური კონვენცია“ დღეისათვის, ეს არის 8 სახელმწიფოს (გერმანია, იტალია, ავსტრია, საფრანგეთი, შვეიცარია, სლოვენია, ლიხტენშტეინი, მონაკო) 5 867 მუნიციპალიტეტის ერთიანი ძალისხმევა და შესაძლებლობათა კონცენტრაცია ალპების მთიანი მასივის დაცვისა და გადარჩენისათვის.

[7] Alpine Convention

– „კარპატების კონვენცია“, როგორც, ასე ვთქვათ, გეოგრაფიული გაგრძელება, კიდევ 8 ახალი სახელმწიფოს - ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, მონტენეგრო, სლოვაკეთი, უკრაინა ძალისხმევის გაერთიანებაა ერთიანი ევროპული ეკოგარემოს დაცვისათვის[8].

ალპური კონვენციის მიზანია რეგიონის საერთო მემკვიდრეობის განვითარება და მისი შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის ეთნიკური თანამშრომლობის გზით, ამ პროცესებში ეროვნული მთავრობების, ადგილობრივი ხელისუფლების, სამეცნიერო საზოგადოების, კერძო ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით. კონვენცია იქიდან გამომდინარეობს, რომ ალპები უნიკალური და ერთიანი მთიანი მხარეა, სადაც მრავალი ქვეყნის ინტერესები ერწყმის ერთმანეთს. კონვენცია წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც ადგენს რეგიონში მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ პრინციპებს.

თითქმის ანალოგიური მიზნის მისაღწევად შექმნილი „კარპატების ჩარჩო კონვენციის“ ფუნდამენტური პრინციპებია: ეკოლოგიური საფრთხეებისა და ეკოლოგიური დეგრადაციის აღმოფხვრა; „დამბინძურებელი იხდის/ჯარიმდება“; საზოგადოების მონაწილეობა და დაინტერე-სებული მხარეების ჩართულობა; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა; მიწისა და წყლის რესურსების კომპლექსური გეგმარება და რაციონალური გამოყენება.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ

– **მსოფლიოს ქვეყნები**, შვეიცარიელი სპეციალისტების მიერ, **მათი მთიანობიდან გამომდინარე 4 ჯგუფად არიან დაყოფილი**: I – 0-10%, II-10-25%, III-25-50%. საქართველო მეოთხე, ყველაზე მთიანი ქვეყნების (მთიანი 50% მეტი ტერიტორია) კატეგორიაში შედის;

– მთიანი ქვეყნების ყველაზე დიდი და ავტორიტეტული ინსტიტუციებია - **მთიანი ქვეყნების მსოფლიო ფორუმი** (ცენტრით კატამანდუში) და **ევროპის მთიანი ქვეყნების ფორუმი - „EUROMONTANA**“ (ცენტრით ტულუზაში). ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ევროფორუმის ორგანიზებაში (მოსამზადებელი სამუშაოები, პრობლემატიკა, ინტერესები, ანკეტირება და სხვა) საქართველოდან 2 არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობდა (ე.წ. დამფუძნებლებად მოიაზრებიან). დღეს ვის რა ურთიერთობა აქვს ამ მნიშვნელოვან ინსტიტუციასთან არ ვიცით.

– გაერო-მ 2002 წელი გამოაცხადა მთის წლად და ამავე წელს **ბიშკეკში** ჩატარდა **„მთის მსოფლიო ფორუმი“.** ჩვენთვის ალბათ აღსანიშნავია ის, რომ ოფიციალური მიწვევის მიუხედავად, საქართველოს მასში მონაწილეობა არ მიუღია!

– უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო დოკუმენტია **„მსოფლიოს მთის ხალხთა ქარტია“ (ე.წ. „კიტოს დეკლარაცია“),** რომელსაც ჩვენთან მთის „სპეციალისტებიც“ კი ან არ/ან ცუდად იცნობენ. საქართველო დღემდე, მიუხედავვად ამ დოკუმენტის დიდი პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობისა, მასზე მიერთებულიც არ არის, ისევე როგორც არა ერთ საერთაშორისო დოკუმენტზე, რომლებიც სწორედ მთიანი ქვეყნების ინიცირებულია.

ეს ყველაფერი გვჭირდება იმიტომ და იმდენად, შესაძლებლობა რომ გვქონდეს შევადაროთ - რა ხდება ე.წ. „მსოფლიოს მთაში“ და რამდენად ისახება ის ყველაფერი ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი ქვეყნის (ასეთი სულ 51-ია) რეალობაში.

---

[8] http://www.carpathianconvention.org/ („კარპატების კონვენცია“)

XXI საუკუნის პირველი ორი ათწლეული თანამედროვე ტურიზმის გლობალური ცვლილებების პერიოდად იქცა. ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობამ, ციფრულმა პლატფორმებმა და გამოცდილებაზე დაფუძნებულმა მოთხოვნამ, ახალი საფუძველი ჩაუყარა ტურიზმის მრავალფეროვნებას. ამასთან ერთად, მაქსიმალურად გაიზარდა მოთხოვნა მდგრადობაზე, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასა და თემატურ მრავალფეროვნებაზე.

იმის სანახავად, თუ რამდენად ისახება ყოველივე ეს ქართულ ტურიზმზე (საერთაშორისო/შიდა), შეგვიძლია უკანასკნელი პერიოდის სტატისტიკურ მაჩვენებლებს გადავხედოთ. ზოგადი ექსპერტული ანალიზისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ორი პირობითი პერიოდი - ე.წ. კოვიდამდელი (2019-20 წ.წ.) და პოსტკოვიდური (2023-24 წ.წ.). აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ „კოვიდ -19“ პანდემიის პერიოდის დაფიქსირებამდე, რამაც არა თუ ტურიზმი, პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს საქმიანი აქტივობა შეაჩერა, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურიზმის სტატისტიკური მაჩვენებლები დინამიურად იზრდებოდა.

რაც შეეხება კოვიდამდელ პერიოდს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად საქართველოში, რომელსაც 2019 წლისთვის 2 575 განთავსების ადგილი და 94 438 საწოლი ადგილი ჰქონდა 3 209 000 ტურისტი მიიღო, რამაც ქვეყნის ბიუჯეტს 3.3 მილიარდი დოლარის შემოსავალი მისცა. აღსანიშნავია, რომ შემოსვლების დიდი წილი (55%) მეზობლებზე მოდიოდა (ლიდერი - აზერბაიჯანი), ასევე გაიზარდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხვედრითი წილი (25.9%). თუ ამ მაჩვენებლებს საქართველოს მთიან რეგიონებს დავუკავშირებთ, ვნახავთ, რომ სიტუაცია საკმაოდ არაადექვატურია - მაგ. სამეგრელო-სვანეთში - 2.8%, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში - 0.2%, რაც, ერთი მხრივ გვიჩვენებს ძალზე დაბალ ინტერესს და ასევე, ქართული ტურისტული კომპანიების არასათანადო მუშაობას თიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენების მიზნით.

– პოსტკოვიდურ პერიოდში (2024 წლის მაჩვენებლები) საქართველოში შემოსული 7.4 მილიონი ვიზიტორიდან 5.1 მილიონი ტურისტია, რაც ძალზე კარგია, თუმცა ვფიქრობთ, რომ თუ ამ მონაცემში გადავხედავთ უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის მაჩვენებლები, რომლებიც რეიტინგში საკმაოდ მაღლა არიან და გავითვალისწინებთ, რომ ამ ქვეყნებიდან შემოსული „ტურისტები“, მთლად ტურისტები არ იყვნენ, საბოლოო შედეგი პრინციპში კარგი, მაგრამ ამდენი არ იქნებოდა. აღნიშნულ პერიოდში შემოსავალმა სახელმწიფო ბიუჯეტში 4.4 მილიარდი შეადგინა. აღნიშნული წლის მაჩვენებლებში ჩვენთვის საინტერესო იყო ერთის მხრივ ის, რომ მკვეთრად გაიზარდა ე.წ. „მაღალმხარჯველი“ ქვეყნების წილი: სპარსეთის ყურის ქვეყნები - 22.7-%-ით, ისრაელი - 43.3%-ით, ინდოეთი - 46.8%-ით, ჩინეთი - 83.4%-ით და ევროპა მხოლოდ - 3.8%-ით; მეორეს მხრივ ის, რომ საქართველოში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების 94.3%-ს არ უსარგებლია ტურპაკეტით, ისარგებლეს უცხოელი ტუროპერატორის მომსახურებით - 4.8%-მა და ადგილობრივი ტუროპერატორის მომსახურებით მხოლოდ - 0.9%-მა. იბადება კითხვა - რას აკეთებენ საქართველოში რეგისტრირებული რამოდენიმე ათასი ტურკომპანიები?[9].

[9] საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2024 წ., თბილისი. www.saqstaat.ge

აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლების აქ მოტანას ჩვენთვის ერთი მიზანი აქვს - დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებისას მეტ-ნაკლებად მყარ საფუძველზე რომ ვიდგეთ; თუმცა აქვე ისიც კარგად ჩანს, რომ დღეისათვის ტურიზმი, საქართველოს მთიან რეგიონებში, რაც ქვეყნის მთელი ტერიტორიის 2/3-ს წარმოადგენს, მისი რესურსული პოტენციალისა და ტერიტორიული ხვედრითი წილისადმი არაადექვატურად არის განვითარებული, თუ გამოკვეთილად არ ავიღებთ ტრადიციულ ლოკაციებს, ისეთებს, როგორიცაა ბორჯომ-ბაკურიანი, მესტია და გუდაური.

ახლა გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გამოწვევებსა და რისკებზე, რომლებიც დიდად განაპირობებენ ტურიზმის განვითარების წარმატება-წარუმატებლობას, მითუმეტეს მთიან რეგიონებში.

პირველ რიგში განვიხილავთ გეოპოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია და თანაც ყოველთვის არ არის დამოკიდებული ჩვენს სურვილებსა და შესაძლებლობებზე. ტურიზმით (მისი სტატისტიკით) დაინტერესებულ ადამიანებს ალბათ ახსოვთ 2015-16 წლებში როგორ აღმოვჩნდით მსოფლიოს ტოპ ათეულში ტურიზმის ზრდის ტემპების მაჩვენებლებით. დიხ, ჩვენ ნამდვილად „აღმოვჩნდით“, რადგან რაღაც განსაკუთრებული მცდელობები როგორც ქვეყანას, ისე კერძო სექტორს მაშინ არ ჰქონია. ამ შედეგში მთავარი „დამნაშავე“, ჩვენი აზრით სწორედ გეოპოლიტიკა იყო (პერიოდი, როდესაც რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების გამო ყირიმი „გამოირიცხა“ ტურისტული ბაზრიდან, იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა ანტალია, თურქეთში გამწვავებული შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების გამო და ანალოგიურად სომხეთი და აზერბაიჯანი), რის შედეგადაც საკმაოდ ვრცელ ტურისტულ ზონაში საქართველო ერთადერთი „მწვანე“ ტერიტორია დარჩა მათთვის, ვინც ამ ზონაში დასვენებას გეგმავდა.

დღეისათვის სიტუაცია შედარებით დამშვიდდა, თუმცა მხოლოდ შედარებით. რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება და მიუხედავად ლამის მთელი მსოფლიოს მცდელობისა, მაინც ვერ სრულდება; თურქეთში თითქოს მშვიდობაა, მაგრამ თითქოს - ის აქამდეც წარმოადგენდა დაპირისპირებულ მხარეს ისრაელ-პალესტინის ომში და სულ რამოდენიმე დღის წინ საერთოდ ომი გამოუცხადა ისრაელს, როგორც მუსულმანური სამყაროს ლიდერმა. ისრაელთან დაკავშირებით, ზოგადად ურთულესი სიტუაციაა ჩვენს სამხრეთით - ირანისა და არაბული ქვეყნების ჩათვლით. მთლად მყარი არა ჩანს აზერბაიჯანისა და სომხეთის „დამეგობრებაც“ აშშ-ს დახმარებით, რასაც კიდევ უფრო ართულებს აზერბაიჯანის პერსპექტიული ეკონომიკური პროექტებისადმი (ნავთობი, გაზი) ყაზახეთის, რუსეთისა და თვით თურქეთის დაპირისპირება.

რა შეიძლება ვთქვათ. ერთის მხრივ, თითქოს ეს ყველაფერი ემსგავსება 2015-16 წლებს და იქნებ დავიწყოთ ფიქრი ტურისტული ნაკადების ანალოგიურ ზრდაზე, თუმცა ერთიანი დაპირისპირებებისა და დანარჩენი მსოფლიოს ჩართულობის იმგვარი სურათი ყალიბდება, რომ დასვენებისათვის განწყობილი, მშვიდობიანი ადამიანი, ქვეყნისა და ასაკის მიუხედავად, მითუმეტეს ოჯახთან (შვილები, შვილიშვილები) ერთად ტურისტული მოგზაურობისთვის, ამ პერიოდში, ამ რეგიონს (მხოლოდ საქართველოზე არ არის საუბარი) რომ არ აირჩევს, ვფიქრობთ გასაგებია.

აქვე უნდა განვიხილოთ მეორე, არანაკლებ სერიოზული პოზიცია, რომელიც თითქოს სწორედ იმ ტერიტორიული ერთეულების უპირატესობაზე მიგვანიშნებს, რომელიც ჩვენი ანალიზის თემაა - მთიანი რეგიონები; მხედველობაში გვაქვს კლიმატის გლობალური ცვლილებები და მისგან გამოწვეული კატასტროფული შედეგები. შორს რომ არ წავიდეთ, მხოლოდ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში, ისეთმა მოვლენებმა, როგორებიცაა დამანგრეველი ქარიშხლები და

კოკისპირული წვიმები, მათგან გამომდინარე ღვარცოფებთან, მეწყერებთან, არნახული ზომის სეტყვასთან ერთად „მოიარა“ თითქმის მთელი ევროპა, აზია (განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთის ქვეყნები), ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა, აშშ; ამას გარდა ცალკე უბედურებად ჩამოყალიბდა ტყის ხანძრები, რომელმაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა: აშშ, კანადა, ბრაზილია, რუსეთი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი და კვიპროსი. ყველაფერი ეს და თანდართული (ლამის ამავე ტერიტორიებზე) მიწისძვრები და ვულკანების ამოფრქვევა, მყინვარებისა და აისბერგების ინტენსიური დნობა და შედეგად მსოფლიო ოკეანის წყლის დონის აწევა, ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს დასვენების აუცილებლობის სურვილს და ყველაფერი ზემოთ აღნიშნულიდან შორს/მოცილებით წასვლისკენ მოუწოდებს. აღნიშნული კუთხით, მიუხედავად რამოდენიმე მძიმე შემთხვევისა (განსაკუთრებით შოვის ტრაგედია) თითქოს ჩვენთან შედარებით მშვიდი სიტუაციაა და ამ საფუძველზე ნამდვილად შეგვიძლია ოპტიმისტები ვიყოთ; ხაზგასასმელია ისიც, რომ სწორედ მთიანი რეგიონებია ჯამურად ამგვარი მოვლენებისაგან თავის დაღწევის საშუალება და შესაძლებლობა.

საქართველოს მთიანი რეგიონები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სივრცის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ისინი ერთდროულად ასრულებენ **სტრატეგიულ, ეკოლოგიურ** და **სოციალურ** ფუნქციებს. მთიანი რეგიონების ტერიტორიაზე გადის არა მხოლოდ სახელმწიფო საზღვრები და სტრატეგიული უსაფრთხოების ზონები, არამედ სწორედ აქ იყრის თავს ისეთი უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსები, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულონ.

ეს ტერიტორიები განსაკუთრებული გარემოსა და სოციალური სისტემის მატარებელია, სადაც ადამიანის ეკონომიკური და კულტურული საქმიანობა ყოველთვის მოითხოვდა ბუნებასთან ჰარმონიულ დამოკიდებულებას, რამეთუ, როგორც დიდმა ვაჟა ფშაველამ ბრძანა „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“-ო. XXI საუკუნეში ეს ჰარმონიულობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რადგან კლიმატის გლობალური ცვლილება უშუალოდ და სრული მასშტაბით, სწორედ მაღალმთიან ტერიტორიებზე აისახება. მყინვარების დნობის ინტენსიურობა, თოვლისა და ყინულის საფარის შემცირება, ნიადაგის ეროზიის დაჩქარება, წყლის რესურსების მერყეობა და ექსტრემალური ამინდის (ქარიშხალი, წვიმა, სეტყვა, ტორნადო და ა.შ.) გახშირება გადაიქცა არა მხოლოდ ეკოლოგიურ, არამედ ეკონომიკურ გამოწვევადაც.

თანამედროვე ტურიზმი, მითუმეტეს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, დღეს არის **ფაქტობრივად ეკონომიკის ერთადერთი დარგი**, რომელსაც რეალურად შეუძლია მთიანი რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის დიფერენცირებული დასაქმება და შემოსავლების გენერირება. თუმცა, ამავე დროს, მისი სწრაფი და რიგ შემთხვევებში სტიქიური ზრდა ახალ რისკებსაც აჩენს - ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია, ზედმეტი კომერციალიზაციის საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობის კიდევ უფრო გაზრდილი მიგრაცია და სოციალური სტრუქტურის დაშლა. სწორედ ამიტომ, სწორ, მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებული თანამედროვე მიდგომები სულ უფრო მეტად აქცენტირებენ **კლიმატგონივრულ (ჭკვიან) და „მწვანე“ მიდგომებზე**, რაც გულისხმობს ტურიზმის ისეთი მოდელების შემუშავებასა და რეალიზაციას, რომელიც ემყარება მდგრადობას, რესურსების ფრთხილ გამოყენებას და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

კლიმატგონივრული ან „ჭკვიანი“ მიდგომის, როგორც თანამედროვე კრეატიული ნოვაციის, შინაარსი შეგვიძლია ასეც ჩამოვაყალიბოთ: ის გულისხმობს ეკონომიკური და სოციალური

საქმიანობის წარმართვას კლიმატის ცვლილების საფუძველზე დამდგარი შედეგების გათვალისწინებით – ენერგიის მოხმარებიდან ინფრასტრუქტურამდე. რაც შეეხება **„მწვანე პოზიციებს“,** აქ აქცენტი კეთდება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ბიომრავალფეროვნების დაცვაზე და ეკოლოგიური კვალის მინიმიზაციაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ მთიან და განსაკუთრებით მაღალმთიან (საქართველოს კანონმდებლობით 1500 მ-ზე მაღლა ზღვის დონიდან) რეგიონებში ორივე ეს მიდგომა მჭიდრო ურთიერთკავშირშია: კლიმატის ცვლილება მტიან და მაღალმთიან ზონებში უფრო სწრაფად და აგრესიულად ვლინდება (მყინვარების დნობა, მეწყერები, ღვარცოფები, წყლის დეფიციტი), ხოლო ტურიზმი, აღნიშნული რეგიონებისათვის, ისე, როგორც საქართველოს (და არა მხოლოდ) მაგალითზე, ხშირად ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი, ძირითადი ეკონომიკური რესურსია.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, დრეისათვის მსოფლიოს მრავალ მთიან ქვეყანაში, კლიმატგონივრულობის პოზიციების გათვალისწინებით, ინტენსიურად მუშავდება მთიანი რეგიონების ბუნებრივი რესურსების გამოყენების თანამედროვე კრეატიული მეთოდები:

- **ენერგეტიკაში** - მცირე ჰიდრო, ბიო, მზისა და ქარის სადგურები ადგილობრივი (კომლი, სოფელი, თემი) მოხმარებისათვის; ენერგოეფექტური სახლები, სასტუმროები და ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები;
- **წყლის რესურსების გამოყენებაში** - მყინვარების დნობის შედეგად მიღებული, წვიმის სახით მოსული წყლის შეკრება და მართვა/გამოყენება. წყლის მოხმარების შემცირება ტურისტული ინფრასტრუქტურის სისტემაში (გადამუშავება და მეორადი გამოყენება, სენსორული სისტემები და ა.შ.);
- **მიწათსარგებლობასა და სოფლის მეურნეობაში** - ნულოვანი ან მინიმალური დამუშავება, ტრადიციული ეკოსისტემების შენარჩუნება, აგრო-ტურიზმის ინტეგრაცია ეკოლოგიურად სუფთა (ბიოლოგიურ) პროდუქტებზე;
- **მთის სოფლების მდგრადობის უზრუნველყოფაში** - კლიმატური რისკების ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვა, ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა (ხშირად გადამწყვეტი ხმი9ს უფლებით) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სხვა.

რაც შეეხება „მწვანე“ ტურიზმს, უკვე დანერგილი სიახლეები და შესაბამისი გამოცდილება აქაც საკმარისად არის, მთავარია გვქონდეს მათი შესწავლის, კვალიფიციური ანალიზისა და ქართულ რეალობაში მართებული ადაპტაციის სურვილი და შესაძლებლობა. უკვე აპრობირებული პრინციპების ქვეშ შეგვიძლია მოვიაზროთ:

- **ეკო-მეგობრული ტრანსპორტი:** საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება ტურისტულ ზონებში (ელექტრო ავტობუსები და მსუბუქი მანქანები, საბაგირო გზები, ტრამვაი, ტრანსპორტირების ეგზოტიკური/ისტორიული ადგილობრივი სახეები - ცხენები, ეტლები, ფაიტონები და ა.შ.);
- **ინფრასტრუქტურის მწვანე სტანდარტები:** ეკო ბინა-სასტუმროები, ენერგოეფექტური შენობები, ნარჩენების მართვა;
- **ბუნებრივი პოტენციალის გამოყენება:** ტურისტული მარშრუტები მინიმალური ჩარევით (eco-trails), ბიომრავალფეროვნების დაცვა, ეგზოტიკურ დაენდემურ ფრინველებზე და ცხოველებზე დაკვირვება;
- **კულტურულ-ეკოლოგიური სინთეზი:** ტურისტული პროდუქტების დაკავშირება ადგი-ლობრივ ტრადიციებთან (ტექსტილი, ღვინო, სამზარეულო და შესაბამისი ტრადიციული დღესასწაულები, ფესტივალები ადგილობრივი რესურსებით);

- **ტურისტის განათლება:** საინფორმაციო კამპანიები ტურისტებისათვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაციების მიწოდებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კუთხით ჩვენს მიერ შესწავლილი და მრავალი სხვა სახელმწიფოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ მთიანი რეგიონების განსაკუთრებული სპეციფიკა, გარემოს დაცვა და ტურიზმი (კლიმატგონივრული, „მწვანე“) თანხვედრაში არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მკაფიო წესები და შესაბამისი სტრატეგიები.

ტურიზმი მთიან რეგიონებში, მითუმეტეს სტარტაპის პერიოდში, შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც სასარგებლო, ისე დამაზიანებელი.

პოზიტიური მხარეები: დასაქმება (უპირველესი გამოწვევა მთაში), ინფრასტრუქტურის განვითარება (მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ გზები, თუმცა სწორედ მათი სათანადო დონეზე გაკეთება ჩვენი გამოუსწორებელი პრობლემაა - აი სად უნდა მივბაძოთ შვეიცარიელებს, გნებავთ ჩინელებსაც), კულტურული მემკვი,დრეობის მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ცხოვრების ახალი შესაძლებლობების გაჩენა და მიგრაციის პროცესის შეჩერება (პირველ ეტაპზე, შემდეგ უკუმიგრაცია!).

ნეგატიური მხარეები: არაგეგმიური/სტიქიური, თვითდინებაზე მიშვებული განვითარების (როგორც ამჟამადაა) შემთხვევაში - ტურისტული რესურსების (ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-რეკრეაციული ღირსშესანიშნაობების, ეკოსისტემების გადატვირთვა-დაზიანება, გარემოს დაბინძურება, ნარჩენების გაზრდა, მიწისა და წყლის რესურსების არარაციონალური გამოყენება, სოციალური პრობლემები, კრიმინალიზაცია და ა.შ.

სწორედ ამგვარ სიტუაციებში და ადგილებში ჩნდება თანამედროვე კლიმატგონივრული მიდგომების საჭიროება, რომლებიც ტურიზმს გარდაქმნის გარემოსთან ადაპტირებულ, მდგრად სისტემად და არა მხოლოდ შემოსავლის წყაროდ.

კლიმატგონივრული მიდგომები გულისხმობს ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების ისეთ სისტემას, რომელიც მიმართულია როგორც გარემოს, ისე ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვისკენ. მისი მთავარი მიმართულებები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. **ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია** – ტურისტულ ობიექტებში მზის, ქარის ან ბიომასის ენერგიის გამოყენება;
2. **წყლისა და ნარჩენების მართვა** – თანამედროვე მექანიზმები, რომლებიც ამცირებს დაბინ-ძურებასა და რესურსების დანაკარგებს;
3. **მდგრადი ინფრასტრუქტურა** – ეკოლოგიურად დაბალანსებული გზები, საკურორტო ზონები და ტურისტული ინფრასრუქტურა (მაგ.: განთავსების, კვების საშუალებები);
4. **ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება** – ტყის, საძოვრების, მინერალური წყლებისა და მიწის ზედმეტი ექსპლუატაციის თავიდან აცილება;
5. **ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა** – ტურიზმი უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ვიზიტორს, არამედ ადგილობრივ თემსაც, რომლებიც მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული მომსახურების სერვისში.

3. დასკვნები და რეკომენდაციები

სტატიის სათაურიდან გამომდინარე, პრობლემა (ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოს მთიანეთში კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დახმარებით), რომლის შესახებაც გვქონდა საუბარი, საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალზე ვრცელი, მრავალწახნაგიანი და არაერთგვაროვანია. სავსებით შესაძლებელია, რომ ის პოზიციები, ან იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიჩ ჩვენ შევარჩიეთ და გავაანალიზეთ, ყველასთვის მისაღები არ იყოს, ჰქონდეთ დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხები ერთი სტატიით და ერთი განხილვით არ შეიძლება დასრულდეს. აქედან გამომდინარე, მომავალი შეხვედრებისა და კონკრეტულად ჩვენს მიერ დაყენებული საკითხების ფართო დიპაზონით და მაღალი კვალიფიციურობით განხილვისთვის გარკვეული წინაპირობების შექმნისათვის, გვინდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მოკრძალებული პოზიციები და მოსაზრებები და დავაფიქსიროთ ჩვენი ღია პოზიცია შემდგომი თანამშრომლობისათვის.

- ჩვენი აზრით ცალსახად უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ მთიან რეგიონებთან მიმართებაში, თუ ჭეშმარიტად ვფიქრობთ ქვეყნის მთელი ტერიტორიის 2/3-ზე ჯანსაღი, სისხლსავსე ცხოვრების აღორძინებას და ნამდვილი უკუმიგრაციის დაწყებას მთასთან და მთიანი რეგიონების მკვიდრ ხალხთან მიმართებაში, უნდა მოვითხოვოთ და ყველანაირად შევუწყოთ ხელი სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას, რაც ნიშნავს შემდეგს:

ა. მთელი ქვეყნის მასშტაბით მთიანეთის თანაბარ პარტნიორად აღიარებას (დღეს ის მენტალურადაც კი „პერიფერიაა“, აქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით);

ბ. მთიანეთის განვითარების თავისებურებების აღიარებას (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს თავისებურებები მინიმუმ 3 ჯგუფად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ), და

გ. ქვეყნის სექტორული განვითარების პოლიტიკის მისადაგებას მთიანეთის თავისებურებებზე (აქ ისევ იმაზეა საუბარი, რაც ზემოთ უკვე მოვნიშნეთ - მიუხედავად ბევრი საერთოსი, როგორც პოზიტივში, ასევე ნეგატივში, ჩვენ გვაქვს სამი (აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი), ერთმანეთისაგან გარკვეულად (მათ შორის რესურსული პოტენციალითაც) განსხვავებული მთიანი რეგიონი).

და კიდევ ერთი, უნდა გავთავისუფლდეთ გარკვეული ტერმინებისადმი მოძველებული მენტალობითი დამოკიდებულებებიდან (მხედველობაში გვაქვს ტერმინი „პროტექცია/ პროტექციონალიზმი“ და გავითავისოთ, რომ ევრორეგიონალიზმი და რეგიონული პოლიტიკა, და მითუმეტეს ე.წ. დახურული რეგიონალიზმის მეთოდოლოგია, არსებითად, პროტექციონიზმის მეთოდოლოგიას წარმოადგენს და მისი ისტორია ჯერ კიდევ 1840 წელს დაიწყო).

- კარგად უნდა გავიაზროთ (სერიოზული ახალი კვლევების საფუძველზე) რა წარმოადგენს საქართველოს მთიანი რეგიონების ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობასა და ბუნებრივ-რეკრეაციულ პოტენციალს, რამდენადაც სწორედ ამ რესურსზე უნდა განვავითაროთ თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრია. უნდა ვთქვათ, რომ ზოგადად ეკო გარემო, განსა-კუთრებით რეკრეაციული პოტენციალი - მათი სიმძლავრეები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი შესაძლებლობები, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მდგომარეობასთან ერთად ახლიდან და ახლებურად არის გადასააზრებელი;
- უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ ტურიზმის განვითარებაზე საუბრის დაწყებამდე, ძალიან კარგად უნდა შევისწავლოთ ჩვენი ბუნებრივი გარემოს რეალური მდგომარეობა (მთის

ფერდობები, ტყის საფარი, ფლორა-ფაუნა და იხტიო-ფაუნა, დიდი და მცირე მდინარეების კალაპოტები და ა.შ.), რამდენადაც, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება, კლიმატის გლობალური ცვლილებების საერთო ფონზე, სწორი გადაწყვეტილებების მიღება. აქვე, პრობლემის უფრო მეტი სიცხადისათვის, გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას. საქართველოს გარემოს დაცვის სააგენტოს, მასთან საქმიან კონტაქტში მყოფ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საკმაოდ დიდი სამუშაოები აქვს ჩატარებული აღნიშნული კუთხით, როგორც საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მოწესრიგების, ასევე გარემოს დაცვის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდები აქტიურად დანეგვის მიზნით, მაგრამ რატომღაც ეს ყველაფერი ამ უწყების მასშტაბის გარეთ ნაკლებად გადის. შესაბამისად სხვა უწყებები და თუ გნებავთ მოქალაქეები რატომღაც არ გრძნობენ საჭირო პასუხისმგებლობას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს და ვფიქრობთ გასაგები იქნეგა პრობლემის სირთულე. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მთიან რეგიონებთან ტერიტო-რიულად დაკავშირებული ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული პროექტი, პროექტირების პროცესშივე, სახელმწიფოს მიერ, განთავისუფლებული იყო/არის გარემოზე ზემოქმედების ნაწილის მომზადება-წარმოდგენისაგან. ვფიქრობთ კომენტარები საჭირო არ არის. ახლა ამას დავუმატოთ ყველაფერი ის, რაც შეიძლება სავარაუდოდ მოხდეს და მივიღებთ საკმაოდ მძიმე სურათს.

- რაც შეეხება ტურიზმის განვითარებას, აქ ძალიან კარგად უნდა გავთვალოთ:

ა. მისი თანამედროვე ფორმებიდან და მიმართულებებიდან რომელი, რა მასშტაბით (გამტარობის ზღვრები), რომელ ტერიტორიებზე, რომელი/როგორი ინფრასტრუქტურის ბაზაზე და რომელი კადრებით შეგვეძლება ამის გაკეთება;

ბ. რა სიტუაციაა საერთაშორისო და განსაკუთრებით ჩვენს გეო-პოლიტიკურ სივრცეში არსებულ ბაზრებზე ტურისტების მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორ ტურისტულ პროდუქტზეა მოთხოვნა, როგორი კატეგორიის კონტიგენტის მიღებაა შესაძლებელი და ა.შ.

გ. როგორია ტურისტული ინფრასტრუქტურის მზაობა ტურისტული ნაკადების მიღებისათვის, როგორ არის დარეგულირებული ორგანიზებული და არაორგანიზებული ტურნაკადების მოწვევა-მიღების საკითხები, რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ბაზრის მოთხოვნილებებს ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული პროფესიული კადრების მომზადების დონე (საერთოდ, პროფესიული კადრემის მომზადების, მუდმივი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები ცალკე სერიოზული განხილვის საგანია).

დ. კარგად არის გასაანალიზებელი საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა რამდენადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზით. ჩვენი აზრით, ამ კუთხით, სერიოზულადაა გადასახალისებელი კანონები მთიანი რეგიონების განვითარებისა და ტურიზმის შესახებ.

როდესაც სერიოზული საკითხების საკმაოდ ვრცელ ნუსხას ვეცნობით, არ გვინდა ისეთი წარმოდგენა დარჩეს, რომ ვდგევართ რაღაც დაუძლეველი ამოცანის წინაშე. როგორც იტყვიან, აღმოსაჩენი თითქმის არაფერია, ზემოთ მოყვანილი ცალკეული ქვეყნების უკვე არსებულ გამოცდილების, ყველაზე კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, მთის მსოფლიო ფორუმი და ევრომონტანა და ა.შ.) განსაკუთრებით უკანასკნელი პერიოდის დოკუმენტებს (მაგ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია „მთების მდგრადი განვითარება - 14.12,2022 წელი, რომელიც დამუშავებულია მთიანი რეგიონების პარტნიორობის (მასში გაერთიანებულია 465 წევრი, 61 ქვეყნის მთავრობა, 19

მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, 372 ძირითადი ჯგუფი და 13 ხელისუფლების სუბ ნაციონალური ორგანო - ამოცანა: ხელი შეუწყოს მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებას მისი სამივე - ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური კომპონენტის შესაბამისად) გაცნობა საშუალებას გგვაძლევს, ჩვენს პრობლემებთან დაკავშირებით, თანამედროვე მსოფლიოს ყველა საჭირო სიახლე ვნახოთ.

ერთი სიტყვით სიტუაცია ნათელია - რა გვაქვს გასაკეთებელი, ვიცით, ან შეგვიძლია ვისწავლოთ; როგორი გამოწვევების წინაშე ვდგევართ - ესეც ნათელია და ჩვენ აქ ვერაფერს ვცვლით, უნდა შევძლოთ ადაპტირება; სპეციალისტები, ვისაც შეუძლიათ შესაბამისი სამუშაოების შესრულება სტარტის ასაღებად, ჯერ კიდევ გვყავს. მიგვაჩნია, რომ თუ სერიოზულად მოვინდომებთ - ამოცანები გადაწყდება.

გამოყენებული ლიტერატურა

დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო www.apa.gov.ge

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - საქართველოს ტურიზმის სტრატეგია. 2025

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები. www.gnta.ge. 2018

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად - სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, 2015

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ანგარიში. www.gnta.ge. 2023 წ.

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2024 წ., თბილისი

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. www.saqastat.ge 2019 წ

Academic articles: García, J. et al. (2019). *Tourism Impacts on the Sierra Nevada Mountain Ecosystem*

Asian Development Bank (2020). *Sustainable Tourism Development in the Himalayas*

Austrian Federal Ministry for Agriculture, Regions and Tourism

Bätzing W. *The Alps: Human Geography*; research articles on vocational education (apprenticeship models) in Austria. (2015).

IUCN – protected area management guidelines.

OECD (2022). *Sustainable Mountain Tourism*.

Spain Tourism: https://www.spain.info/en/experience/mountain-towns

Swiss Federal Office for the Environment: https://www.bafu.admin.ch

Swiss Tourism: https://www.myswitzerland.com

UNEP. *Climate Smart Tourism Guidelines*.

UNWTO (2021). *Sustainable Mountain Tourism Report* https://www.untourism.int/mountain-tourism

UNWTO, *Climate Change and Mountain Tourism*, 2020

UNWTO, *Mountain Tourism and Risk Management*, 2020

World Bank, *Climate-Smart Tourism in Mountain Regions*, 2021

World Bank, *From the Alps to the Pamirs: Investing in mountain economies to make people and places more resilient*, 2021 https://blogs.worldbank.org/en/europeandcentralasia/investing-in-mountain-economies-to-make-people-and-places-more-resilient

World Bank, *Geopolitical Risks in Mountain Regions*, 2021

World Bank, *Sustainable Mountain Tourism*, 2020

Zeng L, Man R.Y., San J.. Economic Development and Mountain Tourism Research from 2010 to 2020: Bibliometric Analysis and Science Mapping Approach. 2022